საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10946/01
19/11/2020

10946-01-2-202011191548

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ს

მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი,
გიორგი ლეონიძის ქუჩა, N 2ა, სართული 3, ფართი N5

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 12 ნოემბრის N17724 განცხადება, რომელიც ეხება შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ს მდ. ბახვისწყალზე 12 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ბახვი 1 ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული გადამოწმების და სამინისტროში არსებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის (ბახვი-1) ჰესის შენობის, ასევე ახალი მისასვლელი გზის ნაწილის და სამშენებლო ბანაკის განთავსების ადგილები ზედდებაშია/თანხვედრაშია ამავე რეგიონში დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურის (ბახვი 2 ჰესის) სათავე ნაგებობის საპროექტო ტერიტორიასთან. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, შპს „ბახვი 2“-ის მდინარე ბახვისწყალზე ჰიდროელექტროსადგურის (ბახვი 2 ჰესი 36 მგვტ) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე 2020 წლის 23 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-356 ბრძანების შესაბამისად გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. **მოცემული გარემოების გათვალისწინებით საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ წარმოდგენილი უნდა იქნეს კორექტირებული მდებარეობები (შესაბამისი ტერიტორიის აღწერით), სიტუაციური ნახაზები, GPS კოორდინატები და Shp ფაილები.**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც თქვენ მიერ დაზუსტდება წერილში მითითებული საკითხი და წარმოდგენილი იქნება კორექტირებული სკოპინგის ანგარიში, თანდართული დოკუმენტაციით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე